სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა 2015
III ტური, II ეტაპი
პრეზენტაციის შეფასების სქემა

პრეზენტატორის სახელი, გვარი: _____

	0 ქულა	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	შეფასება
შესავალი	ტრაფარეტული და უინტერესოა	ვერ ახერხებს აუდიტორიის დაინტერესებას, ვერ იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას	საინტერესოა, ახერხებს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას	ეფექტურია და არატრაფარეტული, იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას	ძალზე ეფექტური და ორიგინალურია	
ორგანიზება	პრეზენტაციის დროს დარღვეულია ლოგიკა და თანამიმდევრულობა	ცალკეულ შემთხვევებში გაუმართავი და არათანამიმდევრულია	ლოგიკურად არის აგებული, შეინიშნება უმნიშვნელო ხარვეზი	ლოგიკურად არის აგებული, წარმოდგენილი საკითხები ნათელი და გასაგებია	სტრუქტურულად სრულყოფილია, სათქმელი ძალზე ნათლად და გასაგებად არის გადმოცემული	
არგუმენტაცია	არგუმენტაცია შეუსაბამო და შეუფერებელია	არგუმენტაცია სუსტია და არადამაჯერებელი	მოჰყავს არგუმენტები, მაგრამ აკლია გამყარება ფაქტობრივი მასალით	საკმარისად არგუმენტირებულია და დამაჯერებელი, გამყარებულია ფაქტობრივი მასალით	გამოყენებული აქვს არაშაბლონური არგუმენტები, ნათლად ჩანს მონაწილის ერუდიცია	
საუბრის მანერა	დაბნეულია და გაუგებრად საუბრობს	ხშირად ჩერდება და იმეორებს ერთსა და იმავეს	მეტყველება გამართული და გასაგებია	მეტყველება გამართული და გასაგებია, საუბრობს დამაჯერებლად	იყენებს რიტორიკული მეტყველების ხერხებს და შესაბამის სტილს	
აუდიტორიასთან კონტაქტი	ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან	პერიოდულად ახერხებს კონტაქტის დამყარებას	გრძნობს აუდიტორიას და ძირითადად ამყარებს კონტაქტს	აქვს კომუნიკაციის უნარი, ადეკვატურად რეაგირებს აუდიტორიის რეაქციაზე	ქარიზმატულია, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს აუდიტორიაზე	
შეკითხვებზე პასუხი	უჭირს დასმული შეკითხვის გაგება და მასზე პასუხის გაცემა	ესმის შეკითხვა, თუმცა უჭირს მასზე პასუხის გაცემა	ესმის შეკითხვა და მეტწილად კარგად სცემს მასზე პასუხს	კარგად აქვს გააზრებული შეკითხვის არსი, ადეკვატურად რეაგირებს მასზე	პასუხები გამოირჩევა სისხარტითა და ორიგინალურობით	
					ჯამური ქულა	